ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42
2012 წლის 27 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი თანდართული რედაქციით (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მარტის №9 დადგენილება (ვებგვერდი, 110309010, 22/03/2011წ. სარეგისტრაციო კოდი 280010000.35.113.016034).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალეკო მამეშვილი**

დანართი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების

გაცემისა და მიღების წესი

წინამდებარე წესი აწესრიგებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარებების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად, სახელმძღვანელო პრინციპებს

თავი I
სოციალური დახმარების სახეები

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება;
ბ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა ფულადი დახმარება;
გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარება;
დ) სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;
ე) ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა;
ვ) მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა;
ზ) თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;
თ) დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი დახმარება;
ი) ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობი საშუალებებით დაკმაყოფილების პროგრამა;

მუხლი 2. არაფულადი სოციალური დახმარების სახეები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი სახის არაფულადი სოციალური დახმარება:

ა) უკიდურესად შეჭირვებული ოჯახის მზრუნველობამოკლებულ პირთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა;
ბ) სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;
გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა.
დ) ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა;
ე) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ლტოლვილის სტატუსის მქონე აღსაზრდელთა გადასახადისაგან განთავისუფლების პროგრამა.

თავი II
ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების ბენეფიციართა კატეგორიები და მათ მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 3. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა ფულადი დახმარება

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირს უფლება აქვს ისარგებლოს ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღებით.
2. დახმარების მისაღებად ხანდაზმული (100 და მეტი წლის ასაკი) პირის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ გამგეობაში წარმოდგენილ უნდა იქნეს:
ა) ხანდაზმული პირის (ან ოჯახის წევრის) წერილობითი განცხადება;
ბ) ხანდაზმული პირის პირადობის მოწმობა (ასლი);
გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი) – თუ განმცხადებელი ხანდაზმული პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრია.
3. ერთჯერადი ფულადი დახმარება ოდენობა განისაზღვრება 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარება

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარების მუნიციპალური პროგრამა ითვალისწინებს:
1. ზამთრისათვის საჭირო საშეშე მერქნის შესაძენად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზე მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა თითოეული ოჯახისთვის 200 ლარამდე თანხით ერთჯერადი დახმარება:
1.2. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯის სახით, გარდაცვლილის ოჯახზე გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახი ერთჯერადად მიიღებს 200 (ორასი) ლარს.

1.3. ექსტრემალურ სიტუაციაში (ოპერაცია, უბედური შემთხვევა და სხვა) გაიცეს ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 300 ლარისა.
2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი);
გ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის დამადასტურებელი საბუთი (ასლი);
დ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის გარდაცვალების ცნობა – იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში;
ე) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.
3. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის გათვალისწინებული ფულადი დახმარების გაცემა ორივე შემთხვევაში მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ ანგარიშზე გადარიცხვით.

მუხლი 5. სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება

1. სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უფლება აქვთ მოითხოვონ ერთჯერადი დახმარება.
2. ამ მიზნით მოქალაქემ გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი).
3. სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა მდგომარეობას შეისწავლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების შემსწავლელი დროებითი კომისია გამგეობის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურთან ერთად. დროებითი კომისია შეარჩევს პრიორიტეტულად მიჩნეულ რამდენიმე ოჯახს.
4. საოქმო გადაწყვეტილების მიღებისას დროებითი კომისია ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტებით.

5. დახმარება პირველ რიგში გაეწევათ უბედური შემთხვევების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ შეჭირვებულ ოჯახებს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს, ოჯახებს, რომელთა წევრებიც არიან პენსიონერები, უმუშევრები, შრომისუუნარონი, ომის ვეტერანები, ინვალიდები, მარტოხელა დედებს, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.
6. თანხის გაცემა ხდება ბანკის მეშვეობით, განმცხადებლის პირად ანგარიშზე გადარიცხვით, რისთვისაც განმცხადებელი, მის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამგეობაში დამატებით წარადგენს ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემებს.

მუხლი 6. ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა
პროგრამა ითვალისწინებს:
1. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ერთჯერად ფულად დახმარებას (50 ორმოცდაათი ლარის ოდენობით).
2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1992-1993წლებში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარებას.
3. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების (3 ოჯახი) ერთჯერადი მატერიალური დახმარებას.
4. ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებას.
4.1. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის ან მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში დაღუპული ომის მონაწილის (ვეტერანის) ოჯახს უფლება აქვს ისარგებლოს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებით.

4.2.დახმარების მისაღებად დაღუპულის ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) გარდაცვლილი ომის მონაწილის პლასტიკური ბარათი (ასლი) ან ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებიდან, რომ გარდაცვლილი იყო ომის მონაწილე პენსიონერი;
გ) დაღუპული ომის მონაწილის (ვეტერანის) გარდაცვალების მოწმობა;
დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი);
ე) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.
5. ამ წესის მიზნებისთვის პირის „ოჯახის წევრებად“ ჩაითვლება: ა) მშობელი (მშვილებელი); ბ) შვილი (ნაშვილები); გ) მეუღლე; დ) და-ძმა; ე) ბებია-პაპა; რომლებიც ეწევიან საერთო მეურნეობას.
6. გარდაცვლილი ომის მონაწილის (ვეტერანის) თითოეულ ოჯახზე, გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების სახით, გაიცემა თანხა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
7. დახმარება გაიცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.
8. თანხის გაცემა ხდება ბანკის მეშვეობით, განმცხადებლის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე გადარიცხვით.

მუხლი 7. მოქალაქეთათვის სამედიცინო მომსახურების პროგრამა
1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა მათ შორის ითვალისწინებს: მშობიარეთა თანადაფინანსების, 18 წლამდე ასაკის ბავშვების სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების და უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამებს.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას, უფლება აქვს მოითხოვოს სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.
2.1. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა გამგეობაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობა (ასლი);
გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა 100), ან ანგარიშ-ფაქტურა მკურნალობის და ქირურგიული ოპერაციის ღირებულების შესახებ.
დ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.
2.2. გადაწყვეტილების მიღებისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახური ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტებით.

2.3. ეს პრიორიტეტები მოიცავს შეჭირვებულ მოქალაქეთა შემდეგ კატეგორიებს: ონკოლოგიური სენით დაავადებულ მოქალაქეებს, პენსიონერებს, ომის ვეტერანებს, ინვალიდებს, მარტოხელა დედებს, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები; მრავალშვილიან ოჯახებს, უბედური შემთხვევების გამო, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს.

2.4. დახმარების მსურველები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 70 000-ს წელიწადში მიიღებენ არაუმეტეს 100 ლარის დახმარებას, ხოლო 70 000-ზე მეტია და არ აღემატება 160 000-ს მიიღებენ არა უმეტეს 200 ლარის ოდენობის დახმარებას.

დახმარება გაიცემა არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სამედიცინო დაწესებულებაში გადარიცხვის შემთხვევაში იმ მოქალაქეებზე, რომლებიც არ სარგებლობენ სამედიცინო პოლისით და მათი სარეიტინგო ქულაა 70 000-დან 160 000-ის ჩათვლით. ხოლო განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაში დახმარება შეიძლება გაიცეს უფრო მეტი თანხითაც, სათანადო დასაბუთების საფუძველზე

2.5. თანხის გაცემა ხდება ბანკის მეშვეობით, ან განმცხადებლის პირად ანგარიშზე გადარიცხვით, რისთვისაც განმცხადებელი, მის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამგეობაში დამატებით წარადგენს ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემებს, ან თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

3. მშობიარეთა თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა 70.000-ზე მეტია და არ აღემატება 150.000-ს, უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება ახალშობილის შეძენის გამო.

3.1. დახმარების მისაღებად ახალშობილის მშობელმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (შემდგომში – გამგეობა) უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობები (ასლები);

გ) მშობლების ქორწინების მოწმობა (ასლი არსებობის შემთხვევაში);

დ) ახალშობილის დაბადების მოწმობა (ასლი);

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ვ) რწმუნებულის აქტი, საცხოვრებელი ადგილის დადასტურების შესახებ;

ზ) გადარიცხვა მოხდება ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე ან სამედიცინო დაწესებულებაში;

თ) აღნიშნული დახმარება გაიცეს იმ ოჯახებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა და არ სარგებლობენ სამედიცინო პოლისით.

3.2. ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება მშობიარეთა თანადაფინანსებით, ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს 200 ლარის ოდენობით, ხოლო საკეისრო კვეთის დროს 400 ლარის ოდენობით.

3.3. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის სარეიტინგო ქულა არის შეჩერებული ან შესწავლის პროცესშია, სამსახური იხელმძღვანელებს ძველი სარეიტინგო ქულით.

4. 18 წლამდე ასაკის ბავშვების სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც არ სარგებლობენ სამედიცინო პოლისით.

4.1. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა (მშობელმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი);

გ) ბავშვის პირადობის მოწმობა (ასლი) ან დაბადების მოწმობა (ასლი);

დ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშფაქტურა;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.

4.2. დახმარება გაიცემა თანადაფინანსებით.

5. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო ინვალიდი მოქალაქეების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას.

5.1. დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.2. დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე 150 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი დახმარება

1. პროგრამა ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, ასევე დახმარება შესაძლებელია მიიღონ მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სტუდენტებმა, რომლებიც არიან აღნიშნული კატეგორიის.

2. დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინონ:

ა) მეურვის განცხადება და პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა მეურვეობის შესახებ;
გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
დ) სტუდენტის მოწმობა.
3. დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობი საშუალებებით დაკმაყოფილების პროგრამა

1. პროგრამა ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთდროულ მატერიალურ დახმარებას, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა შედგენს 0-დან 120 000-ის ჩათვლით მიიღებენ 80 ლარის ოდენობის დახმარებას.
2. დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება;
ბ) ცნობა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიდან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
გ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
დ) პირადობის მოწმობის ასლი.
3. დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

თავი III
ყოველთვიური ფულადი სოციალური დახმარების ბენეფიციართა კატეგორიები და მათ მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 10. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებთაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური ფულადი დახმარება, თუკი ისინი რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და თუ მათი სარეიტინგო ქულაა 57.000-დან 150.000 -ის ჩათვლით, თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით.
2. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა აქვთ 0-დან 57.000-ის ჩათვლით, წელიწადში სამჯერ მიეცემათ 100-ლარიანი დახმარება.
3. დახმარების დასანიშნად დახმარების მიღების მსურველმა გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება;
ბ) მშობლების პირადობის მოწმობები (ასლები);
გ) მშობლების ქორწინების მოწმობა (ასლი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) ბავშვების დაბადების მოწმობები (ასლები);
ე) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
ვ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებიდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;
ზ) გამგეობის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – რწმუნებულის ან დეპუტატის ხელმოწერა (რეკომენდაცია) აქტის სახით.
4. ყოველთვიური ფულადი დახმარება ირიცხება ბენეფიციარის პირად ანგარიშზე.
5. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის სარეიტინგო ქულა არის შეჩერებული ან შესწავლის პროცესშია, სამსახური იხელმძღვანელებს ძველი სარეიტინგო ქულით.

მუხლი 11. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებული მოქალაქე, რომელიც დიალიზის მკურნალობის კურსს გადის ქ. ბათუმსა და სხვა ქალაქებში მიეცემათ დახმარება მგზავრობის თანხის ასანაზღაურებლად.
2. დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან დიალიზის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.
3. დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე 120 ლარის ოდენობით.

თავი IV
არაფულადი სოციალური დახმარების ბენეფიციართა კატეგორიები და მათ მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 12. უკიდურესად შეჭირვებულ, ოჯახის მზრუნველობამოკლებულ პირთა ყოველდღიური

ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული პირი შეიძლება იყოს არაფულადი სოციალური დახმარების მიმღები, ყოველდღიური, უფასო ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის სახით.

2. არაფულადი სოციალური დახმარების მისაღებად უკიდურესად შეჭირვებულმა, ოჯახის მზრუნველობას მოკლებულმა პირმა გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობა (ასლი).

3. სოციალურ დახმარებაზე ბენეფიციარის უფლებრივი მდგომარეობის საკითხს შეისწავლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური და ამზადებს დასკვნას.

მუხლი 13. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება

1. პროგრამა ითვალისწინებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივში“ მყოფი უკიდურესად შეჭირვებული ბავშვების ორჯერადი კვებით უზრუნვეყოფის თანადაფინანსებას.

2. მომსახურება განხორციელდება შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების გარდა ყოველ დღე 14:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან ორჯერადი კვებით (სადილი და სამხარი.), დღის ცენტრი 25 უკიდურესად შეჭირვებულ ბავშვს მოემსახურება.

3. ცენტრის მიერ განხორცილდება ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიებები: მშობელთა კონსულტაციები, ვიზიტი ოჯახებში და შეფასება, ოფიციალური დოკუმენტაციის მოწესრიგებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურება, ფსიქოლოგის მომსახურება.

მუხლი 14. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციასთან არსებული დღის ცენტრში 18 წელს გადაცილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსებას, რომელიც მოიცავს:

ა) ბენეფიციართა ყოველდღიური მომსახურება (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 2-ჯერადი კვებით სადილი და სამხარი;

ბ) ბენეფიციართა სატრანსპორტო უზრუნველყოფის მომსახურებას;

გ) საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას;

დ) საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დაფინანსებას;.

ე) ბენეფიციართა სანიტარიულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფას.

მუხლი 15. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ოზურგეთის მუიციპალიტეტის დაბა ანასეულში მდებარე ხანდაზმულთა თავშესაფარის სახლში მცხოვრები 26 ბენეფიციარის დაკმაყოფილებას საბაზისო პირობებით. პროგრამა მიზნად ისახავს ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფას.

მუხლი 16. სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ლტოლვილის სტატუსის მქონე აღსაზრდელთა გადასახადისაგან გათავისუფლება

პროგრამის სუბიექტი:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი, რომლებთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთ ერთიან ბაზაში აქვთ სარეიტინგო ქულა 57.000-მდე სრულად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

2. ლტოლვილის სტატუსიის მქონე აღსაზრდელები, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში სრულად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

3. მრავალშვილიანი ოჯახის შვილები (4 და მეტი შვილი), 50% თავისუფლდება გადასახადისაგან.

4. მრავალშვილიანი ოჯახის შვილები (4 და მეტი შვილი),რომელთაც ცენტრის ფილიალებში ჰყავთ 3 აღსაზრდელი ან მეტი, გადაიხდის მხოლოდ 1 აღსაზრდელზე დაწესებულ გადასახადს.

5. მუნიციპალიტეტში შეღავათებით ისარგებლებს 310-მდე აღსაზრდელი.

თავი V

სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 17. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური (შემდგომში _

სამსახური).
2. სამსახური პასუხისმგებელია მუნიციპალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე.

მუხლი 18. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა
1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად ბენეფიციარი წერილობით განცხადებას და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელსაც უნდა ერთოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს –რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა (აქტი).
2. გამგეობა უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მთხოვნელთა განცხადებების რეგისტრაციაში გატარებას ქრონოლოგიურად, სპეციალურ, დანომრილ, ბეჭედდასმულ და ზონარგაყრილ ჟურნალში.
3. გამგეობაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ მათ შესასწავლად და სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნება სამსახურს.

მუხლი 19. სამსახურის მიერ განცხადებების განხილვა
გამგეობაში შემოსულ ბენეფიციართა განცხადებებს განიხილავს სამსახური.

მუხლი 20. სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მომზადება
1. სამსახური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ VI თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.
2. სოციალური დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.
3. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა) ბენეფიციართა საქმეებში. ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანობის დადგომა, და ა.შ.

მუხლი 21. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება
1. სოციალური დახმარების გაცემისა და გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი, სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.
2. მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.
3. გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია ბენეფიციართათვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და როდესაც დაყოვნებამ შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.
4. სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და სოციალური სამსახურის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე გამგებელი უფლებამოსილია გასცეს საგარანტიო წერილი. სამედიცინო დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვა მოხდება შესრულებული სამუშაოს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 22. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა
1. გამგებლის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება გამგეობის ბუღალტერიაში, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი დახმარების სათანადო წესით გაცემას.
2. ფულადი დახმარებები გაიცემა ბანკის მეშვეობით, თანხის ბენეფიციარის პირად ანგარიშზე გადარიცხვით ან სამედიცინო დაწესებულებაში გადარიცხვით.